ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1903638

ნომერი: AR1308688

თარიღი : 10.05.2015

გაცემის თარიღი : 25.05.2015

გაცნობის თარიღი : 25.05.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ტაშკენტი , N 32 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ თევდორაშვილი პ/ნ 01024037955
- თბილისი ტაშკენტის ქ. N 32

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1308688 10.05.2015 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, ტაშკენტის ქ. #32-ში (საკადასტრო კოდი: 01.10.12.042.017) არსებული მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსებისთვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას გაცნობებთ: წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 3 (სზ–3)–ში.
ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებია:
• მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ–1=0.5;
• მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი:კ–2=1.5;
• მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი:კ–3=0.2;

კანდელაკის, ბუდაპეშტის, ისაკაძის, ოდიშელიძის, გაგარინისა და მგალობლიშვილის ქუჩებს შორის მოქცეული გეგმარებითი ერთეულის სამშენებლო განვითარებისთვის ჩატარდა წინა საპროექტო კვლევა, რომლის მიხედვითაც დადგინდა ამ და მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთებისათვის ქალაქმშენებლობითი პარამეტრების მომატების და შენობა–ნაგებობების სიმაღლეების განსაზღვრის საკითხები. აღნიშნული წინა საპროექტო კვლევა განხილულ იქნა “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს” 2015 წლის 26 მარტის #14 სხდომაზე, სადაც გადაწყდა დადებითად.
ზემოაღნიშნული კვლევის მიხედვით (იხ. დანართი) საცხოვრებელი ზონა 3–ის მოქმედების არეალში განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდა შესაძლებელია მაქსიმუმ 1.8–მდე, ხოლო კ1 უნდა შენარჩუნდეს 0.5, კ1–ის შემცირების შემთხვევაში საცხოვრებელი შენობის სართულიანობა შესაძლებელია განისაზღვროს მაქსიმუმ 4 (უკანდაწეული 5) სართულით. თუ აღნიშნული კვლევის შესაბამისად წარმოადგენთ დასაბუთებას და დააზუსტებთ ქალაქმშენებლობით პარამეტრებს, საკითხს განიხილავს ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო. ამასთან შენობა–ნაგებობის განთავსების დროს დაცული უნდა იქნეს განაშენიანების რეგულირების ხაზი (თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზი სცდება არსებულ პარამეტრებს);

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.